ოქმი:**ო12. 3725118001**
თარიღი:**28/04/2025**

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2025 წელი, 28 აპრილი
ქ.ოზურგეთი
13:00-13:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ნ. სარჯველაძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ჭანიშვილი, მ. ვაშალომიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ს. ქარცივაძე, გ. სირაძე, ე. გორდელაძე, ვლ. ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კომისიის ფუნქციის შესაბამისი დარგების, პროგრამების და ქვეპროგრამების დაფინანსებაზე და გაწეულ ხარჯებზე. ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, არსებულ ნაშთებზე, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. შემოსავლების გეგმა შესრულებულია 101,4%, ხარჯების- 90,5%, ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებული დასკვნის პროექტი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ გამოვლენილი ხარვეზები არაა არსებითი ხასიათის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის სარებულოს სხდომაზე წარდგენა

განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი